სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 573
(ოქმი # 504

თბილისი 2023 წლის 21 დეკემბერი

საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის
დანიშვნასთან დაკავშირებით
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 7 დეკემბერს №568
გადაწყვეტილებით (ოქმი №502) გამოცხადებულ კონკურსში
გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის თანახმად,

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2023 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კომპანიად გამოვლინდეს შპს „მოორ ეიბისი“ რომელსაც დაევალოს შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა არაუგვიანეს 2024 წლის 20 აპრილისა.
2. დაევალოთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს, წინამდებარე გადაწყვეტილების 1-ელ პუნქტში აღნიშნულ კომპანიასთან გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ლაშა ტუღუში

გიორგი კოხრეიძე

ზაზა აბაშიძე

თამილა დოლიძე

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

გრიგოლ მურღულია

იზაბელა ოსიპოვა

ბონდო მძინარაშვილი